

## ექვსწლიანი დაწყებითი სკოლა და მასწავლებლის მომზადების პრობლემები

<sup>1</sup>ნანა მაკარაძე, <sup>2</sup>ნინო მოდებაძე

<sup>1</sup>შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35

<sup>2</sup>ბათუმის N15 საჯარო სკოლა, დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებელი  
ბათუმი, გორგასალის ქ. N160

### ანოტაცია

2009 წლიდან საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურაში, უფრო ზუსტად კი – ზოგადი განათლების საფეხურებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლება ნაცვლად 11-ისა 12, ხოლო დაწყებითი სკოლა კი ნაცვლად 4-ისა 6 წლიანი გახდა.

დაწყებითი კლასების ექვსწლიან სისტემაზე გადასვლა მოითხოვს ან მოქმედ მასწავლებელთა მიერ საგნის უფრო ღრმა და საფუძვლიან ცოდნას, ან კიდევ სრულიად ახალი ტიპის მასწავლებლის მომზადებას.

დაწყებითი სკოლის საკადრო უზრუნველყოფის საკითხი იდგა ჯერ კიდევ მაშინ, როცა დაწყებითი სკოლა 4 წლიანი იყო და უმაღლესი სკოლა ამზადებდა დაწყებითი კლასების მასწავლებელს, რომელსაც რამდენიმე საგანი უნდა ესწავლებინა I-IV კლასებში. დაწყებითი კლასების ზოგიერთი მასწავლებელი ასწავლიდა მხოლოდ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებას, ზოგიერთი – ამ საგნებთან ერთად ხელოვნებასა და მუსიკასაც, ზოგიერთი კი – ყველა საგანს, ფიზიკური აღზრდის ჩათვლით. მიმდინარე პერიოდში, დაწყებითი სკოლის 6 წლამდე გახანგრძლივებასთან დაკავშირებული სიახლეები, ბუნებრივია, ჯერ აპრობაციის სტადიაშია და ვიდრე სტაბილურ მდგომარეობამდე მივა, სერიოზულ დახვეწასა და მოწესრიგებას მოითხოვს. რეალურად გახდა თუ არა დაწყებითი სკოლა 6 წლიანი? სამომავლოდ მასწავლებლებს 4 კლასში 3 ძირითადი საგნის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) მასწავლებლობა ურჩევნიათ, თუ საგნობრივად რომელიმე საგნის სწავლება I-VI კლასებში? რას ფიქრობენ აღნიშნულთან მიმართებაში დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტები ანუ მომავალი მასწავლებლები? როგორი დამოკიდებულება აქვთ საკითხისადმი მოსწავლეთა მშობლებს? ბუნებრივია, ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება, რომელიც სერიოზულ დაფიქრებასა და გათვალისწინებას მოითხოვს.

სწორედ აღნიშნული საკითხების დეტალურ განხილვას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ ზეპირი და წერილობითი გამოკითხვის (ინტერვიუს, ანკეტირების) და მათი შედეგების სტატისტიკურ-თვისობრივი ანალიზის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც რეალური მდგომარეობის აღწერის საფუძველზე მივედით გარკვეულ დასკვნებამდე, რასაც ვრცლად ნაშრომში უშუალოდ წარმოვადგენთ.



საქართველოში დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობამ განაპირობა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გარდაქმნების აუცილებლობა. ბუნებრივია, სხვა სფეროებთან ერთად ეს გარდაქმნები უნდა შეეხოს და შეეხო კიდევ ისეთ სფეროს, როგორცაა განათლების სისტემა. იმ მრავალ მიზეზთა შორის, რომელმაც განაპირობა რეფორმის აუცილებლობა, შეიძლება გამოიყოს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დაქვეითება, სწავლებისა და ცოდნის შეძენის მოტივაციის გაუფასურება, წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი ციკლის სისტემურობის დარღვევა და სხვა.

2009 წლიდან საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურაში, უფრო ზუსტად კი – ზოგადი განათლების საფეხურებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლება ნაცვლად 11-ისა და 12, ხოლო დაწყებითი სკოლა კი ნაცვლად 4-ისა და 6-წლიანი გახდა. საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, ამასთანავე, იგი უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას, დაეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად, აუცილებელია ამაღლდეს სწავლების ხარისხი, რაც მასწავლებლისაგან მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, შემოქმედებით უნარს, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე თეორიების ცოდნას [1]; სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, მოაზროვნე, ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევების მქონე პიროვნების აღზრდა, რასაც საფუძველი დაწყებითი კლასებიდან ეყრება.

დაწყებითი სკოლა საფუძველს უყრის მოსწავლის ჰარმონიულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი ნიჭის, უნარის, მიდრეკილებებისა და სხვა ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენას. ამ ეტაპზე ხდება მოსწავლის მოტივაციის ჩასახვა, მოსწავლის შემეცნებითი აქტივობის განვითარება, ეკოლოგიური ცოდნა-ჩვევების ჩანერგვა, უმნიშვნელოვანესი ზნეობრივი ღირებულებების ათვისება, შრომისადმი პატივისცემის გაღვივება და ა. შ. ყოველივე ამის მისაღწევად საჭიროა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მაღალი დონე. ისინი უნდა ფლობდნენ საგანს ან საგნობრივ ჯგუფს, რომელსაც ასწავლიან ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, უნდა ესმოდეთ ეროვნული სასწავლო გეგმის არსი, სტრუქტურა, მოცულობა და განვითარების დინამიკა, სასწავლო გეგმებში მიმდინარე ცვლილებები და სხვა. საამისოდ კი აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების მქონე მასწავლებლის მომზადება და მისი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

დაწყებითი კლასების ექვსწლიან სისტემაზე გადასვლა მოითხოვს ან მოქმედ მასწავლებელთა მიერ საგნის უფრო ღრმა და საფუძვლიან ცოდნას, ან კიდევ სრულიად ახალი ტიპის მასწავლებლის მომზადებას.

დაწყებითი სკოლის საკადრო უზრუნველყოფის საკითხი იდგა ჯერ კიდევ მაშინ, როცა დაწყებითი სკოლა 4 წლიანი იყო და უმაღლესი სკოლა ამზადებდა დაწყებითი კლასების მასწავლებელს, რომელსაც რამდენიმე საგანი უნდა ესწავლებინა I-IV კლასებში. დაწყებითი კლასების ზოგიერთი მასწავლებელი ასწავლიდა მხოლოდ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებას, ზოგიერთი – ამ საგნებთან ერთად ხელოვნებასა და მუსიკასაც, ზოგიერთი კი – ყველა საგანს, ფიზიკური აღზრდის ჩათვლით. მიმდინარე პერიოდში, დაწყებითი სკოლის VI კლასამდე გახანგრძლივებასთან დაკავშირებული სიახლეები, ბუნებრივია, ჯერ აპრობაციის სტადიაშია და ვიდრე სტაბილურ მდგომარეობამდე მივა, სერიოზულ დახვეწასა და მოწესრიგებას მოითხოვს. რეალურად გახდა თუ არა დაწყებითი სკოლა 6 წლიანი? სამომავლოდ მასწავლებლებს I-IV კლასებში 3 ძირითადი საგნის - ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლობა ურჩევნიათ, თუ საგნობრივად ერთ-ერთი რომელიმე საგნის სწავლება I-VI კლასებში? რას ფიქრობენ აღნიშნულთან მიმართებაში დაწყებითი განათლების სპეციალისტების სტუდენტები ანუ მომავალი მასწავლებლები? როგორი დამოკიდებულება აქვთ საკითხისადმი მოსწავლეთა მშობლებს? ბუნებრივია, საკითხთან დაკავშირებული ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება, რომელიც სერიოზულ დაფიქრებასა და გათვალისწინებას მოითხოვს.

ნაშრომზე მუშაობისას დავინტერესდით განათლების სისტემაში მიმდინარე ტენდენციების ამსახველი პროცესებისა და ცვლილებების შესახებ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა, მომავალ მასწავლებელთა და დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლების მოსაზრებებით. ანკეტირების მეთოდით გამოკითხულ იქნა ძირითადად აჭარის რეგიონის სხვადასხვა სკოლის 100 მასწავლებელი, 50 მშობელი და 30 მომავალი მასწავლებელი (სტუდენტი). გამოკითხვების შედეგად საკმაოდ საინტერესო შედეგები მივიღეთ:

კითხვაზე „შეიცვალა თუ არა დაწყებითი სკოლა 4-წლიანი სწავლებიდან 6 წლიან სწავლებაზე გადასვლით?“ გამოკითხულთა 34%-მა უპასუხა - არა; 53% თვლის, რომ ნაწილობრივი ცვლილებები არის, თუმცა ვერ აკონკრეტებს, რაში გამოიხატება ეს ცვლილებები; 13% კი თვლის, რომ „ცვლილება ძირეულია“, რასაც ადასტურებენ „სწავლების ახალი მეთოდებისა და ისტ-ის საშუალებების გამოყენებით და ახალი საგნების (უცხო ენები, ხელოვნება, აერობიკა, რელიგია)“ შემოღებით.

კითხვაზე „არჩევანის შემთხვევაში გადავიდოდნენ თუ არა დაწყებითი კლასების მოქმედი პედაგოგები I-VI კლასებში ერთი რომელიმე საგნის სწავლებაზე?“ - პასუხი 100%-ით დადებითი იყო იმ სკოლებში, სადაც უკვე გადასულები არიან საგნობრივ სწავლებაზე, ესენია: ქ. ბათუმის მე-15 საჯარო სკოლა, ოჩხამურის საჯარო სკოლა, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია და ქ. ბათუმის სკოლა-ლიცეუმი „მასტერ-კლასი“. ამ სკოლების მასწავლებლები და მშობლები თვლიან, რომ საგნობრივი სწავლება იძლევა მოსწავლის მიერ „ერთი საგნის ღრმად შესწავლის საშუალებას“, „მასწავლებელი ბევრად უკეთესად არის მომზადებული და ატარებს ხარისხიან გაკვეთილს - სხვადასხვა აქტივობებითა და ტექნიკური საშუალებებით გამდიდრებულს“, „მოსწავლეები არ არიან ერთი მასწავლებლის აზრზე და შეფასებაზე დამოკიდებული“, „კარგად ერგებიან ცვლილებებს სასწავლო გარემოში“, ხოლო იქ სადაც სწავლება „ძველი ფორმით“ (ანუ რამდენიმე საგნის სწავლებითა და 4+2 სისტემით) მიმდინარეობს, ასევე 100%-ით უარყოფითი იყო პასუხი: მასწავლებლები

თვლიან, რომ რამდენიმე საგნის ერთდროულად სწავლების დროს უფრო კარგად იცნობენ კლასის შესაძლებლობებს, ეძლევათ ინტეგრირებული სწავლებისა და მოსწავლეებზე დაკვირვების საშუალება.

დაწყებით კლასებში სწავლების როგორც ერთი, ასევე მეორე ვარიანტის შემთხვევაში ნებისმიერი მშობლის მოთხოვნა იყო ერთადერთი, რომ მის შვილს ასწავლიდეს „მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, რომელიც ფლობს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებს“.

როგორც აჭარის კერძო და საჯარო სკოლებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, დღეისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მხოლოდ მცირე ნაწილია გადასული I-VI კლასებში საგნობრივ სწავლებაზე, დარჩენილი დიდი ნაწილი ტრადიციულ - რამდენიმე საგნის სწავლების სტილს ინარჩუნებს. არაფერია სათქმელი, გარდა იმისა, რომ 6 წლიანი დაწყებითი განათლების საფეხური 2 ნაწილადაა (4+2) გახლეჩილი და დაწყებითი კლასების მასწავლებელს არანაირი შეხება არა აქვს რეალურად დაწყებითი კლასების ანუ V-VI კლასების მოსწავლეებთან;

განათლების სფეროში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საგნობრივი სწავლების შემთხვევაში, უმცროსკლასელებს უჭირთ სხვადასხვა მასწავლებელთან შეგუება. თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეებისათვის პრობლემას წარმოადგენს არა მასწავლებელთა რაოდენობა, არამედ სწავლების საკითხებისადმი მათი რადიკალურად განსხვავებული მიდგომები. თუ მასწავლებელი პროფესიონალია, საფუძვლიანად იცის თავისი საგანი, ფლობს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, შეუძლია სასწავლო რესურსის სწორად შერჩევა, იცის მოსწავლეთა ასაკობრივი, ინდივიდუალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური და ინტელექტუალური თავისებურებანი და შესაბამისად გამოყენება, მაშინ სასწავლო პროცესში პრობლემებსაც ნაკლებად აწყდება როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლე. ფაქტია, რომ დღეისათვის დაწყებით კლასებში დასაქმებული თითქმის ყველა მასწავლებელი მომზადებულია მხოლოდ I-IV კლასებში სწავლებისათვის და მას არა აქვს საჭირო კომპეტენციები იმისათვის, რომ ასწავლოს V-VI კლასებში თუნდაც რომელიმე ერთი საგანი. თუ I-VI კლასებში ერთი რომელიმე საგნის სწავლებას მაგალითად ფილოლოგი ან ბიოლოგი აიღებს საკუთარ თავზე, ბუნებრივია, არც ის იქნება მზად იმისათვის, რომ ასწავლოს დაწყებით კლასებში იმ სპეციფიკის დაცვა-გათვალისწინებით, რასაც მაგალითად, ანბანის ან ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული კურსის სწავლება მოითხოვს.

დაწყებითი სკოლის საკადრო უზრუნველყოფის პრობლემა უნდა გადაჭრას უმაღლესმა სკოლამ, რომელმაც მასწავლებლის მომზადების საკითხთან მიმართებაში უნდა მოიფიქროს რეალური გამოსავალი. აღნიშნულ საკითხს საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები დღეისათვის სხვადასხვაგვარად უდგებიან. გვინდა შევხვით იმ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა ფარგლებშიც მზადდებიან დაწყებითი კლასების მომავალი მასწავლებლები. უმრავლეს შემთხვევაში, უნივერსიტეტები ამზადებენ პირობითად დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, ანუ საგანმანათლებლო პროგრამებში კონკრეტულად მითითებული არაა, თუ რომელი კლასების და რომელი საგნების მასწავლებლებს ამზადებენ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამით [2]. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც (მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც 2009 წლიდან ამზადებენ დაწყებითი კლასების სამი ძირითადი და ერთი არჩევითი საგნის

მასწავლებლებს) [3,4]. ამგვარი საგანმანათლებლო პროგრამებით მომზადებული მასწავლებლები, ვფიქრობთ, დასაქმების დროს რეალურად გააკეთებენ სწორ არჩევანს თავიანთი შესაძლებლობების გათვალისწინებით. აღნიშნული პროგრამების დადებით მხარედ მივიჩნევთ იმასაც, რომ ამ სახით მომზადებულ მასწავლებელს არჩევანის უფრო დიდი საშუალება ეძლევა – შეუძლია იმუშაოს მხოლოდ I-IV კლასების ძირითადი საგნების მასწავლებლად, ან I-VI კლასებში ერთ-ერთი საგნის მასწავლებლად, ან V-VI კლასებში ერთ-ერთი საგნის მასწავლებლად, ან კიდევ, I-IV კლასების ძირითადი საგნებისა და V-VI კლასების ერთი საგნის მასწავლებლად. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2008 წელს ჩარიცხული სტუდენტები ემზადებიან დაწყებით კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სასწავლებლად, თუმცა პროგრამაში არ იყო დაკონკრეტებული, თუ რომელი საგნები იგულისხმება. ეს კი გვადლევა იმაზე ფიქრის საშუალებას, რომ 2012 წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების სპეციალობის კურსდამთავრებულს ექნება დაწყებით კლასებში ნებისმიერი საგნის სწავლების უფლება და საშუალება, რაც, ჩვენის აზრით, რთულია. ბუნებრივია, 2009 წლიდან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა ბევრადაა გაუმჯობესებული თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დაწყებითი კლასების მასწავლებელს, სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებით, ექვსივე წლის განმავლობაში დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან შეხება მაინც მოუწევს.

ბოლოს, აუცილებლად მივიჩნევთ სასერტიფიკაციო გამოცდებიდან მოტანილ გამოცდილებასაც, ანუ მიმდინარე პერიოდში დაწყებითი კლასების მოქმედ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ ჩააბარონ გამოცდა 3 ძირითად (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება) საგანში, სამომავლოდ კი საუბარია იმაზე, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლები საგნობრივ სასერტიფიკაციო გამოცდას ჩააბარებენ ერთ-ერთ საგანში I-VI კლასების ჩათვლით, ანუ არჩევანი მასწავლებელზეა დამოკიდებული. ზემოთხსენებული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები კი ორივე შემთხვევისათვის იქნებიან მომზადებულები.

ვფიქრობთ, სამომავლოდ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სერიოზულად უნდა იფიქრონ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და მიიღონ ყველაზე ოპტიმალური და დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული ერთიანი გადაწყვეტილება, ვინაიდან ახალმა კურსდამთავრებულებმა მაინც გაუძლონ კონკურენციას და არ აღმოჩნდნენ ისეთი პრობლემების წინაშე, რასაც შეუსაბამობა, მოუმზადებლობა, არაკვალიფიციურობა, არაკომპეტენტურობა და ა. შ. ჰქვია.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მომზადების ქართული სისტემის განხილვის პარალელურად, ბუნებრივია, დავინტერესდით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული უცხოური პრაქტიკითაც. ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაციით, დიდ ბრიტანეთში დაწყებითი კლასების მასწავლებლის პროფესიული მომზადების დროს უნივერსიტეტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომავალ მასწავლებელთა მიერ დაწყებითი საფეხურის რომელიმე მთავარ დისციპლინაში ცოდნის სიღრმისეულ დაუფლებას, აგრეთვე, უნარშეზღუდულ მოსწავლეთა სწავლების თავისებურებების შესწავლას. პედაგოგიური განათლება ინგლისში მოიცავს გარკვეულ თავისებურებებს, მაგალითად,

– უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებით ხორციელდება სწავლების ე.წ. ტუტორული სქემა. ტუტორი (ტუტორ – ხელმძღვანელი, მასწავლებელი) ეხმარება სტუდენტს შეადგინოს სწავლების გეგმა და კონსულტაციას უტარებს მას სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში;

– უმაღლესი სასწავლებელი ვალდებულია თვალყური ადევნოს თავის კურსდამთავრებულთა საქმიანობას სკოლაში გამოშვებიდან არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში;

– უმაღლესი სასწავლებელი ვალდებულია ჩართოს სასწავლო პროცესში სკოლის საუკეთესო მასწავლებლები.

სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული მომზადების მნიშვნელოვან წილს შეადგენს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა.

ჩეხეთში საშუალო სკოლის პირველი საფეხურის (I-V კლასები) მასწავლებელმა შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად უნდა გაიაროს სამაგისტრო პროგრამა სპეციალობით „საშუალო სკოლის პირველი საფეხურის მასწავლებელი“. საშუალო სკოლის პირველი საფეხურის მასწავლებელს, რომელსაც მუშაობა უწევს მოსწავლეებთან სპეციფიური მოთხოვნებით, ევალუა გაიაროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა „სპეციალური პედაგოგიკის“ განხრით.

ჩვენი ყურადღება მიიქცია საზღვარგარეთის ქვეყნებში დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა კლასებში განაწილების სისტემამაც. კერძოდ, გერმანიის ფედერალური ლანდების (მიწების) დაწყებითი სკოლების მოსწავლეები I-IV კლასებში (ორ ფედერალურ ლანდში კი I-VI კლასებში) ირიცხებიან ჩვეულებრივ თავიანთი ასაკის შესაბამისად (6-დან 10 წლამდე და 6-დან 12 წლამდე). I-II კლასებში ძირითად საგნებს ერთი მასწავლებელი – საკლასო მასწავლებელი ასწავლის. როდესაც ბავშვებს ჰყავთ ერთი და არა რამდენიმე მასწავლებელი – საგნების მიხედვით, ეს უადვილებს მათ სასკოლო ცხოვრებაში ადაპტირებას. საკლასო მასწავლებლის პრინციპი უზრუნველყოფს სწავლების დროს მეთოდებისა და პედაგოგიური მიდგომების გარკვეული კომპლექსის შემუშავებას, რაც ხელს უწყობს ყურადღების გამახვილებას ინდივიდუალური მოწაფის მოთხოვნილებებზე. დაწყებული III კლასიდან, მასწავლებელთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს მოსწავლეთა საშუალო სკოლაში გადასასვლელად მომზადების გაადვილების მიზნით. საშუალო სკოლაში თითოეული საგნის სწავლებაზე, როგორც წესი, თითო მასწავლებელია განკუთვნილი.

შვეიცარიაში დაწყებითი (ელემენტარული) სკოლა სავალდებულოა და გრძელდება 9 წელს (9 კლასი) 7 წლის ასაკიდან. თუ სკოლის დამთავრებისთვის მოსწავლეს არ ექნება გარკვეული - აგრძელებს თუ არა სწავლას შემდგომ ეტაპზე ან რა მიმართულებით აპირებს გაგრძელებას, მისთვის სწავლა დაწყებით სკოლაში ხანგრძლივდება კიდევ ერთი წლით. ზოგადი განათლების მიღების მთლიანი პროცესი იყოფა 2 პერიოდად:

1. დაწყებითი პერიოდი (Primarschule) გრძელდება 6 წელს, როდესაც ჩვეულებრივ, ერთი მასწავლებელი ასწავლის კლასს ყველა საგანს;
2. მაღალი ეტაპი (Oberstufenschule) გრძელდება 3 წელს. ამ საფეხურზე მინიმუმ ორი მასწავლებელი ახორციელებს აკადემიური საგნების სწავლებას და სპეციალიზირებული მასწავლებლები განკუთვნილია სპორტის, ხელსაქმისა და კულინარიის სწავლებისთვის.

ნიდერლანდებში დაწყებითი სკოლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა სწავლებას 4-დან 12 წლამდე (I-VIII კლასები). დაწყებითი სკოლის ქვედა საფეხურზე ყოველ კლასში მხოლოდ ერთი მასწავლებელია, რომელსაც ზოგჯერ ასისტენტი ან დამხმარე-სტუდენტი ეხმარება. მასწავლებელი თავად ადგენს ყოველი დღის პროგრამას და თავად განსაზღვრავს, თუ რა დრო უნდა დაეთმოს თითოეულ საგანს.

აშშ-ს განათლების სისტემაში დაწყებითი (elementary) სკოლა (I-VI კლასები) დამოუკიდებლად არსებული სასწავლო დაწესებულებაა, სადაც კლასთან ყველა მეცადინეობას ერთი მასწავლებელი ატარებს. დაწყებითი სკოლების ნაწილში სწავლება წარმოებს ტრადიციული საგნობრივი სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც მოიცავს კითხვას, ლიტერატურას, წერას, ორთოგრაფიას, მშობლიურ ენას (ზეპირი მეტყველება), მუსიკას, სახვით ხელოვნებას, არითმეტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, ჰიგიენას, ფიზიკურ აღზრდასა და ხელით შრომას. მშობლიური ენა და კითხვა იკავებს სასწავლო დროის თითქმის ნახევარს; არითმეტიკას ეთმობა იგივე დრო რაც მუსიკას, სახვით ხელოვნებას და ხელით შრომას.

მართალია, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განათლების სისტემის დაწყებით საფეხურზე ძირითად საგნებს უმეტესწილად ერთი მასწავლებელი ასწავლის, თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთის ყველა ქვეყანაში დაწყებითი სკოლა არ განისაზღვრება მაინცდამაინც 6 წლით, ანუ დაწყებითი სკოლა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პერიოდს მოიცავს. გარდა ამისა, დარწმუნებული ვართ, იმ ქვეყნებშიც, სადაც დაწყებითი სკოლა 6 წლიანია, მასწავლებლები მოდიან საამისოდ მომზადებულები და მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს რამდენიმე საგნის ერთდროულად კომპლექსური სწავლება ხანგრძლივი დროის (თუნდაც 6 წლის) განმავლობაში, რაც ქართული რეალობისთვის ჯერ-ჯერობით დაუძლეველია, ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე პერიოდამდე – მაინც. სწორედ აქედან გამომდინარე მივიჩნევთ საჭიროდ, დაწყებითი კლასების მასწავლებელთა პროფესიული მომზადების მიმართებით ზუსტად გამოიკვეთოს სტუდენტების, როგორც მომავალ მასწავლებელთა სწავლების სრულყოფის ტენდენციები და ქვეყნის მასშტაბით დადგინდეს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა პროფესიული მომზადების მოდერნიზაციის ერთიანი პირობები.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.  
<http://www.ncac.ge/index.php?m=783>
2. დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.  
<http://www.atsu.edu.ge/faculties/Pedagogiuri/geo/bak/dawyebiTi%20ganaTleba%20s truktura.pdf>
3. დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.  
<http://dl.iliauni.edu.ge/>
4. დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.  
<http://www.bsu.ge/>

Article received: 2011-12-23